Global Schools Program

კურსის მიმოხილვა

ე-2 კლასი

წყარო: Reimers, F. (2017). "მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში". 1-ლი გამოცემა. საგამომცებლო პლატფორმა *Createspace Independent*.

საავტორო უფლება: © 2017 Fernando M. Reimers. ნაშრომის ლიცენზია - Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: https://creativecommons.org/licenses/by/4.0/ ყველა უფლება დაცულია.

შენიშვნა: ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS
17 GOALS TO TRANSFORM OUR WORLD

Global Schools Program

მიმოხილვა	
წავლის მიზანი ლობალურიდან ლოკალურ მასშტაბზე გადასვლით მოსწავლეები ამოიცნობენ მსოფლიო საზოგადოებების, თავიანთი თემის, თანაკლასელებისა და ბოლოს საკუთარ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.	
გაკვეთილის შაბლონი	
გაკვეთილი 1	სოფლიოს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება
გაკვეთილი 2	ნტერვიუ თანაკლასელთან
გაკვეთილი 3	ანაკლასელის წარდგენა
გაკვეთილი 4	ეგობრული სვეტოვანი დიაგრამები
გაკვეთილი 5	იმოხილვა და რეფლექსია
სწავლის მიზნები	
• ოსწავლეები შეისწავლიან და აღმოაჩენენ კლასსა და სამყაროში არსებულ მრავალფეროვნებას. • ოსწავლეები უფრო მეტს გაიგებენ იმის შესახებ, თუ რა ხდის მათ თანაკლასელებს განსაკუთრებულებსა და გამორჩეულებს. • ოსწავლეები გახდებიან უფრო ცნობისმოყვარეები და დაინტერესებულები სხვების კულტურით. • ოსწავლეები ივარჯიშებენ კითხვების დასმასა და აქტიურად მოსმენაში.	

ე-2 კლასი, გაკვეთილი 1

“ სოფლიოს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება: კითხვების დასმა კულტურის, ადგილისა და გამოცდილების შესახებ”

დროის ხანგრძლივობა: 30 წუთი
თემები: კითხვა/ენის ხელოვნება
სტანდარტები: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
შეიმუშავა: Josie Papazis, Ben Searle

ეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილზე მასწავლებლები გამოიყენებენ მენტორის ტექსტსა და სურათებს მოსწავლეების ინტერესის გასაღვივებლად. ემდეგ მოსწავლეები ივარჯიშებენ სხვებისთვის შესაფერისი კითხვების მოფიქრებასა და დასმაში, რათა შეიტყონ მათი კულტურის, გამოცდილებისა და წარმომავლობის შესახებ. იზუალური მხარდაჭერის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ ცნობისმოყვარეობის ამოცნობას და მასწავლებლის დახმარებით ჩამოაყალიბებენ შესაბამის საცდელ კითხვებს. კითხვების დასმა არის კულტურული გაგების ჩამოყალიბების არსებითი ნაწილი და ასევე ბავშვების მომზადების საშუალება, რომ იყვნენ უფრო მეტად შემეცნებითნი.

ასწავლო მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაგება
- იმ როლის ამოცნობა, რომელსაც მრავალფეროვნება თამაშობს ყოველდღიურ ცხვოვრებაში
- მრავალფეროვნების ღირებულების ამოცნობა და აღნიშვნა

აცნობიერების მიზანი: მოსწავლეები ისწავლიან გააზრებული კითხვების ჩამოყალიბებას და სხვების პერსპექტივიდან და გამოცდილებიდან სწავლის მნიშვნელობას.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ითი გვგვანან სხვა ადამიანები ჩვენ?
- ითი განსხვავდებიან ისინი ჩვენგან?
- ოგორ აყალიბებს ადამიანების გამოცდილება მათ აზრს?
- ა შეგვიძლია ვისწავლოთ სხვა ადამიანებისგან, რასაც სხვაგან ვერ ვისწავლით?

წავლების მიზნები: მოსწავლეები შეძლებენ შესაფერისი საინფორმაციო კითხვების ჩამოყალიბებას ინტერესებისა და კულტურული ჩვეულებების შესახებ ვიზუალური მხარდაჭერისა და მოდელირებული კითხვების გამოყენებით.

შეფასება: მოსწავლის პასუხები წაკითხულზე მსჯელობისას და ჯგუფურად ჩამოყალიბებული კითხვები სურათის შესახებ.

- **ქტივობათა თანმიმდევრობა:**
    - ასწავლებელი კითხულობს “სადაც ბავშვებს სძინავთ” (http://tiny.cc/G2L1R1).
    - ასწავლებელი ირჩევს 3-4 ბავშვს წიგნიდან და მოსწავლეებს ეკითხება, როგორ შეკითხვებს დაუსვამდნენ ისინი ამ ბავშვებს, მათი უკეთ გაცნობის სურვილი რომ ჰქონოდათ.
    - მასწავლებელმა უნდა უხელმძღვანელოს მოსწავლეებს უფრო ღია კითხვებისკენ, რომლებიც მოითხოვს უფრო არსებით პასუხს.
    - ასწავლებელი ჩამოწერს სამაგალითო შეკითხვებს დაფაზე.
    - ასწავლებელი შემდეგ წარადგენს 4 სხვადასხვა ადამიანის სურათს განსხვავებული კულტურული ფონით და სხვადასხვა ასაკობრივი/ეთნიკური ჯგუფიდან. ემდეგ მოსწავლეებს შეეკითხება, თუ იციან მათ ან უნდათ რაიმის გაგება ამ ადამიანების შესახებ.
    - 3-4 კაციან ჯგუფებში მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ 5 შეკითხვას სურათებიდან ერთ-ერთი ადამიანის შესახებ.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- *“ ადაც ბავშვებს სძინავთ”, ჯეიმს მოლესონი*: https://www.jamesmollison.com/where-children-sleep

ე-2 კლასი, გაკვეთილი 2
“ ნტერვიუ თანაკლასელთან”

ხანგრძლივობა: 45 წუთი
თემები: ინგლისური/ენის ხელოვნება
სტანდარტები: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16); თანამშრომლობა მიზნებისთვის (მიზანი 17)
შეიმუშავა: Josie Papazis, Ben Searle, Vijayaragavan Prabakaran

ეჯამება და დასაბუთება: პირველ გაკვეთილზე შეძენილ უნარებზე დაყრდნობით მოსწავლეები გამოიმუშავებენ ემპათიას/თანაგრძნობას და გაიძლიერებენ თანატოლების გაგების გრძნობას ღია კითხვების დასმისა და აქტიური მოსმენის პროცესში. ოსწავლეები ჩაიწერენ თანაკლასელების პასუხებს, რათა მომავალ გაკვეთილზე წარადგინონ ისინი.

ასწავლო მიზანი: მოსწავლეებს შეეძლებათ თანატოლებთან ინტერვიუს ჩატარება და მოკლე ჩანაწერების გაკეთება პრეზენტაციისთვის.

აცნობიერების მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ, როდესაც ისინი სვამენ გონივრულ და ღია კითხვებს და ისმენენ ყურადღებით, მაშინ შეუძლიათ თანატოლებისგან ბევრი ისეთ რამის სწავლა, რასაც სხვაგვარად ვერასოდეს გაიგებდნენ.

ნიშვნელოვანი კითხვები:
- ა ვიცი ამ ადამიანის შესახებ?
- ისი გაგება მსურს ამ ადამიანის შესახებ?
- ამაკვირვა თუ არა რამემ იქიდან, რაც ამ ადამიანის შესახებ გავიგე?
- ამეხმარა რამე მის უკეთ გაგებაში?
- ხლა რისი ცოდნა/გაგება მსურს?
- ოგორ შემიძლია უკეთ დავსვა კითხვები ინფორმაციის მოსაპოვებლად?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):
- ია კითხვების ჩამოყალიბება
- ქტიური მოსმენის პროცესში სხვა მოსწავლის ინტერესებისა და წარმოშობის ამოცნობა

შეფასება: მოსწავლეების პრეზენტაციები.

ქტივობათა თანმიმდევრობა:

★ **ნაწილი 1:** მასწავლებელი ხელმძღვანელობს ღია კითხვების ამოცნობისა და შემუშავების ინსტრუქციას. ია კითხვები გვეხმარება აღმოვაჩინოთ, რა ხდის სხვა ადამიანს უნიკალურს და განსაკუთრებულს. ია კითხვაზე სწორი ან არასწორი პასუხი არ არსებობს. ია კითვას "კი" ან "არა"-თი ვერ ვუპასუხებთ.

★ **ნაწილი 2:** თითოეული მოსწავლე იწერს რვეულში ქვემოთ მოყვანილ ღია კითხვის 4 მაგალითს. ემდეგ თითოეული მოსწავლე იფიქრებს 2 ახალ კითხვას (მაგ. "მითხარი...?", "როგორ...?" ან "რატომ...?").

ია კითხვების მაგალითები:

- ომიყევი შენი ყველაზე ბედნიერი მოგონების შესახებ.
- ას ნიშნავს იყო "კარგი მეგობარი"?
- ოგორ მოდიხარ დილით სკოლაში?
- ატომ მოგწონს სკოლა?

★ **ნაწილი 3:** წყვილებში მუშაობისას მოსწავლეები გამოიყენებენ თავიანთ კითხვების ჩამონათვალს მეწყვილესთან გასაუბრების მიზნით, რათა მეტი გაიგონ მის შესახებ. მოსწავლეები რიგრიგობით სვამენ კითხვებს და ყურადღებით უსმენენ.

მოსწავლეების გამოწვევა: მოსწავლეებმა უნდა დააფიქსირონ ის, რაც გაიგეს მეწყვილის შესახებ, ჩამოწერონ საკვანძო სიტყვები ან დახატონ ნახატები, რომლებიც დაეხმარება მათ იმის დამახსოვრებაში, რაც გაიგეს მეწყვილის შესახებ.

★ **ნაწილი 4:** მასწავლებელი გაუძღვება კლასის დისკუსიას შემდეგი კითხვებით:

- შეუძლია ვინმეს გაუზიაროს კლასს ერთი ახალი რამ, რაც ისწავლა მეწყვილის შესახებ?
- აღმოაჩინეთ ისეთი რამ, რაც თქვენ და თქვენს მეწყვილეს საერთო აღმოგაჩნდათ?
- როგორ ხართ თქვენ და თქვენი მეწყვილე მსგავსი ან განსხვავებული?
- როგორ გრძნობდით თავს, როდესაც მეწყვილემ დაგისვათ ღია შეკითხვა?
- ყველა ერთნაირი რომ იყოს, კარგი იქნებოდა ეს? ატომ ან რატომ არა?

ე-2 კლასი, გაკვეთილი 3
"თანაკლასელის წარდგენა"

დროის ხანგრძლივობა: 30 წუთი
თემები: ენის ხელოვნება
სტანდარტები: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16); თანამშრომლობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)
შეიმუშავა: Josie Papazis, Ben Searle, Vijayaragavan Prabakaran

შეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები წარმოადგენენ თანატოლებთან ინტერვიუს შედეგებს. შაბლონის თანახმად,მასწავლებლები წარადგენენ სახელმძღვანელო კითხვებს მოსწავლეების პრეზენტაციების მხარდასაჭერად. თავიანთი დასკვნების გაზიარებით მოსწავლეები შექმნიან საკლასო საზოგადოებას და ხელს შეუწყობენ ინტერკულტურულ გაგებას.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეებს შეეძლებათ კლასს წარმოუდგინონ თანატოლებთან ინტერვიუების შედეგები.

აცნობიერების მიზანი: როდესაც ჩვენ ყველა დავსვამთ გააზრებულ კითხვებს და ყურადღებით მოვუსმენთ, ჩვენ შეგვეძლება გავარკვიოთ ისეთი რამ ჩვენი კლასის შესახებ, რასაც სხვანაირად ვერ გავიგებდით და დავამყარებთ უფრო მნიშვნელოვან მეგობრობას.

მნიშვნელოვანი კითხვები:
- რა ვისწავლე ჩემი ინტერვიუდან?
- როგორ მინდა წარვუდგინო იგი კლასს?
- რა ვისწავლე სხვა ადამიანების ინტერვიუებიდან?
- როგორ აისახება ეს ახალი ინფორმაცია ჩვენი კლასის საზოგადოებაზე და ჩემს თანაკლასელებთან ურთიერთობაზე?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):
- ბოლო სესიიდან ინტერვიუს აქტიურად გახსენება
- 3-5 ახალი რამის წარდგენა, რაც მათ ისწავლეს თანაკლასელების შესახებ

აქტივობების თანმიმდევრობა:

★ **ნაწილი 1:** წინა აქტივობაზე დაყრდნობით თითოეული მოსწავლე ადგება და გაუზიარებს რამდენიმე დადებით რამეს მათი მეწყვილის შესახებ. მოსწავლეები გამოიყენებენ შემდეგ კითხვებს, როგორც სახელმძღვანელოს:

- ინ არიან ისინი?

- როგორები არიან ისინი?
- რატომ არიან ისინი განსაკუთრებულები?
- როგორ განსხვავდებიან ისინი შენგან?
- რა მოგწონს მეწყვილესთან გასაუბრებისას?
- ხომ არ გიჭირდა კითხვების დასმა? თუ კი, რატომ ფიქრობ ასე?

★ **ნაწილი 2:** გაფართოების სახით მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან ლექსი, ცეკვა, ნახატი, ან მოიტანონ პატარა საჩუქარი მეწყვილისთვის, რომელიც აღნიშნავს ან ასახავს იმას, რაც მათ მოსწონთ მეწყვილეში.

★ **ნაწილი 3:** ყველა პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელი წარუძღვება მოსწავლეების თვითრეფლექსიას შემდეგი სახელმძღვანელო კითხვების გამოყენებით:

- შეუძლია ვინმეს გაზიარება რას გრძნობდა, როდესაც მათმა მეწყვილემ თქვა რაიმე სასიამოვნო მათ შესახებ?
- ვინმეს შეუძლია გაგვიზიაროს რას გრძნობდნენ ისინი, როდესაც ამბობდნენ რაიმე სასიამოვნოს თავიანთ მეწყვილეზე?
- ატომ არის სასიამოვნო გრძნობა სხვაზე კარგი რამის თქმა?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის კარგი იყო განსხვავებული ან უნიკალური?

ე-2 კლასი, გაკვეთილი 4

“ ეგობრული სვეტოვანი დიაგრამები”

ხანგრძლივობა: 40 წუთი
თემები: ენების ხელოვნება, მათემატიკა
სტანდარტები: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (მიზანი 3); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16); თანამშრომლობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)
ეიმუშავა: Vijayaragavan Prabakaran

შეჯამება და დასაბუთება: მასწავლებელი წარმოაჩენს, თუ როგორ უნდა შეგროვდეს და გადმოიცეს მონაცემები სვეტოვანი დიაგრამებით, რათა მოსწავლეებმა რაოდენობრივად განსაზღვრონ თავიანთ კლასში განსხვავებული პერსპექტივები და გააცნობიერონ საერთო თვისებები კლასის საზოგადოებაში.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციის წარმოდგენის სხვადასხვა გზას.

აცნობიერების მიზანი: ჩემს მიერ ინფორმაციის წარმოდგენის გზა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც თავად ინფორმაცია და მე კარგად უნდა ვიფიქრო იმაზე, თუ რა მინდა იწავლოს ჩემმა აუდიტორიამ ჩემი პრეზენტაციებიდან.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- როგორ წარმოვადგენთ ყველაზე ხშირად ინფორმაციას?
- რა სახის პრეზენტაციაა საუკეთესო სხვადასხვა სახის ინფორმაციისთვის?
    - რიცხვითი მონაცემები?
    - ინტერვიუები?
    - სხვა იდეები?
- როგორ მოქმედებს ინფორმაციის წარმოდგენის გზა იმაზე, თუ როგორ უყურებს ხალხი ამ ინფორმაციას?

აქტივობების თანმიმდევრობა: მასწავლებელი გაუძღვება დისკუსიას კარგი მეგობრის თვისებების შესახებ და აწესრიგებს მონაცემებს მარტივ სვეტოვან დიაგრამებში.

შემოთავაზებული სცენარი:

მასწავლებელი: “რა არის ერთი სიტყვა, რომელსაც გამოიყენებ მეგობრის დასახასიათებლად? რა ხდის ადამიანს კარგ მეგობარს? იფიქრეთ მეგობარზე ან ადამიანზე, რომელთანაც გსიამოვნებთ დროის გატარება, და ჩაწერეთ ორი ან სამი სიტყვა, რომელიც აღწერს მას.”

სურვილისამებრ: მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს დაფაზე ზედსართავების სია ბავშვებისთვის.

მასწავლებელი: “ახლა, როდესაც თითოეული თქვენგანი მეტყვის სიტყვას, რომელიც აღწერს კარგ მეგობარს, მე ამას ჩავიწერ. ”

წერს დაფაზე.

მასწავლებელი: “ოჰ, ამდენი მშვენიერი სიტყვაა დაფაზე და ზოგიერთმა თქვენგანმა იგივე სიტყვა თქვა. არ იქნებოდა მაგარი, რომ საშუალება გვქონოდა გრაფიკით გვეჩვენებინა კარგი მეგობრის ყველაზე ხშირი თვისებები?”

მასწავლებელი აჯგუფებს მონაცემებს და სანიმუშოდ წარმოადგენს თითოეული კატეგორიის დათვლას, თითოეულ თვისებას უსადაგებს რიცხვს იმისდა მიხედვით, თუ რამდენმა მოსწავლემ ჩამოთვალა ეს თვისება.

მაგალითად: "მხიარული" - 7 მოსწავლე, "კეთილი" - 5 მოსწავლე, "დამხმარე" - 4 მოსწავლე, "ჭკვიანი" - 2 მოსწავლე”

მასწავლებელი: “ ანტასტიურია! ახლა ჩვენ ვისწავლით, თუ როგორ უნდა ვაჩვენოთ ეს სვეტების სურათით.”

მასწავლებელი ხატავს სვეტოვან დიაგრამას და უხსნის მოსწავლეებს, რომ ქვედა ხაზზე არის კატეგორია, ხოლო რიცხვი იქნება ვერტიკალურ ხაზზე.

მასწავლებელი: “ეს ძალიან საინტერესოა! ახლა ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ კარგი მეგობრის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები მხოლოდ ამ სურათის დათვალიერებით. ამას ასევე ჰქვია სვეტოვანი დიაგრამა. ”

მასწავლებელი ამოწმებს რამდენად კარგად გაიგეს ბავშვებმა.

მასწავლებელი: “ახლა ჩვენ ვაპირებთ ავაგოთ სხვა სვეტოვანი დიაგრამა, მაგრამ ყველა გაერთიანებულად ამჯერად.”

მასწავლებელი იძახებს ან ირჩევს მოსწავლეს, რომელიც სვამს კითხვას, რომლითაც დაინტერესებულია მთელი კლასი (მაგ. „რომელია შენი საყვარელი ფერი/ცხოველი/საკვები?”). მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეს შეაგროვოს მონაცემები და ჩაწეროს იგი რიცხვითი (აბსტრაქტული) ფორმი, და შემდეგ დახაზოს ის სვეტოვანი დიაგრამის სახით.

დამოუკიდებელი ვარჯიშის საშუალებები:

- მოსწავლეთა ჯგუფები იყენებენ იმ მონაცემებს, რომლებიც უკვე შეაგროვეს წინა გაკვეთილებიდან მეგობრების შესახებ და წარმოადგენენ ამ მონაცემებს გრაფიკების სახით.
- მოსწავლეთა ჯგუფები ასრულებენ პროექტს კლასის გარეთ იმ კითხვებზე, რომლებიც საფუძველს ჩაუყრის SDG კომპეტენციებს:
    - რამდენჯერ იყავით სასარგებლო ამ კვირაში?
    - რამდენი თქვენი მეგობარი საუბრობს სხვადასხვა ენაზე?
    - რამდენჯერ გაუზიარე რამე?

ე-2 კლასი, გაკვეთილი 5
“ იმოხილვა და რეფლექსია”

ხანგრძლივობა: 20 წუთი
თემები: ენების ხელოვნება, მათემატიკა
სტანდარტები: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16); თანამშრომლობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)
ეიმუშავა: Josie Papazis, Ben Searle

შეჯამება და დასაბუთება: მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მოსწავლეები არიან მეტაშემეცნებითნი კითხვის დასმის მნიშვნელობისა და იმის შესახებ, რატომ ვიყენებთ კითხვებს ხიდების ასაშენებლად. მართვადი რეფლექსიის საშუალებით მოსწავლეები გააანალიზებენ პროცესს და იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ უნდა გადაიტანონ ეს უნარ-ჩვევები საკლასო ოთახის გარეთ, რათა დაუსვან შეკითხვები მათ თანატოლებს და მათ გარშემო არსებულ სამყაროს.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეებს შეეძლებათ გაითვალისწინონ ის, რაც ისწავლეს გააზრებული და გონივრული შეკითხვების დასმის შესახებ და იფიქრონ იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მათ ამ დასკვნების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება.

აცნობიერების მიზანი: ის უნარები, რომლებიც მე შევიძინე თანაკლასელებთან ინტერვიუს ჩატარებისას, ასევე გამოსადეგია კლასის გარეთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას; მე უნდა გავაგრძელო ჩემს ცხოვრებაში გააზრებული კითხვების დასმა და სხვების აქტიური მოსმენა.

მნიშვნელოვანი კითხვები:
- რა ვისწავლე ამ პროექტიდან კითხვების დასმისა და პასუხების ინტერპრეტაციის შესახებ?
- იყო ისეთი რამ, რამაც გამაკვირვა ან რაზეც აქამდე არასოდეს მიფიქრია?
- არსებობს თუ არა სხვა ისეთი სიტუაციები, რომლებშიც ეს უნარები შეიძლება ღირებული იყოს? თუ ასეა, რომლებია ისინი?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):
- ინტერვიუს და გამოკითხვის პროცესზე დაფიქრება
- აკუთარი მოსაზრებების კლასისთვის გაზიარება

აქტივობების თანმიმდევრობა: მასწავლებელი უძღვება კლასის დისკუსიას შემდეგ კითხვებზე:
- რა იყო რთული ამ პროცესში?
- ადვილი იყო მეწყვილესთან საუბარი?
- რა ისწავლეთ თქვენი მეწყვილის შესახებ ისეთი, რაც აქამდე არ იცოდით?

მიზნობრივი თემები და პასუხები:

- განსხვავებების მიღება/შემწყნარებლობა
- თანამშრომლობით სწავლა